საკანონმდებლო მაცნე

ივნისი 2022
[NO.06] www.bdo.ge

ცვლილება კანონში

შინაარსი

- საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლება
- ქონების გადასახადისგან გათავისუფლება

საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლება

2022 წლის 23 ივნისს გამოქვეყნდა 2022 წლის 9 ივნისს შედგენილი საქართველოს კანონი საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ. ცვლილება შეეხო საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლს, რომელიც განსაზღვრავს ფიზიკური პირების მიერ მიღებული შემოსავლების საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისგან გათავისუფლების შემთხვევებს. კერძოდ, ცვლილება განხორციელდა 82-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა.გ ქვეპუნქტში, რომელიც ათავისუფლებდა მარტოხელა დედის მიერ მიღებულ შემოსავალს კალენდარული წლის განმავლობაში 3,000 ლარის ფარგლებში, ხოლო ცვლილების შედეგად აღნიშნული გათავისუფლება გავრცელდება ზოგადად მარტოხელა მშობელზე, სადაც დედის გარდა, ასევე, მოიაზრება მამაც.



ცვლილება ძალაშია 2022 წლის 24 ივნისიდან.

ქონების გადასახადისგან გათავისუფლება

2022 წლის 30 ივნისს გამოქვეყნდა 2022 წლის 23 ივნისს შედგენილი საქართველოს კანონი საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ. ცვლილება შეეხო საქართველოს საგადასახო კოდექსის 309-ე (გარდამავალი დებულებანი) მუხლს. ცვლილების შედეგად აღნიშულ მუხლს დაემატა 115[1] ნაწილი, რომელიც ადგენს 2022 წელს დასადეკლარირებელი ქონების (გარდა მიწისა) გადასახადისგან გათავისუფლებას ცალკეულ შემთხვევებში.

აღნიშნული გათავისუფლება ეხება მხოლოდ იმ ქონებას, რომელიც ამავე მუხლის 115-ე ნაწილით იყო განსაზღვრული. შეგახსენებთ იმ ეკონომიკურ საქმიანობებს, რომლის ფარგლებში გამოყენებულ ქონებაზეც ვრცელდება აღნიშნული საგადასახადო შეღავათი:

- 55.1 კოდით (სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებები) ან/და 55.2 კოდით (დასასვენებელი და სხვა მოკლევადიანი განთავსების საშუალებები) გათვალისწინებული საქმიანობა
- 56.1 კოდით (რესტორნები და საკვებით მობილური მომსახურების საქმიანობები) გათვალისწინებული საქმიანობა
- 56.3 კოდით (სასმელებით მომსახურების საქმიანობები) გათვალისწინებული საქმიანობა
- 79 კოდით (ტურისტული სააგენტოები, ტურ-ოპერატორები და სხვა დაჯავშნის მომსახურება და მათთან დაკავშირებული საქმიანობები) გათვალისწინებული საქმიანობა.

მოცემული საგადასახადო შეღავათი არ ეხება 2022 წლის 15 ივნისის ჩათვლით გადასახდელ ქონების გადასახადის მიმდინარე გადასახდელს, რომელიც გადაიხდევინება გასული საგადასახადო წლის წლიური გადასახადის ოდენობით, მიუხედავად ამ ნაწილით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათისა.

აქვე აღსანიშნავია, რომ ამ ნაწილით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათი ვრცელდება იჯარით, ლიზინგით ან სხვა ამგვარი ფორმით გადაცემულ ქონებაზეც, თუ ეს ქონება ამავე ნაწილით განსაზღვრულ რომელიმე საქმიანობაში გამოიყენება.

ცვლილება ძალაშია 2022 წლის 1 ივლისიდან.

ავტორის სვეტი

პუბლიკაციაში მოცემულია ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და საგადასახადო სიახლეები და ცვლილებები, რომელზეც ყურადღება უნდა გაამახვილოს ბიზნესმა.

გამოცემა მოიცავს ინფორმაციას ცვლილებების შესახებ კანონში და ეხება საშემოსავლო და ქონების გადასახადისგან გათავისფულების თემებს

მარიამ ხუსკივაძე
MKuskivadze@bdo.ge

მიხეილ ენუქოძე
MEnukidze@bdo.ge

- ვრცლად www.bdo.ge

პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემაზე, მაგრამ ზოგადი დებულებების გამოყენებით, ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელოს სახით გამოყენებისთვის. დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგვარებისათვის ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიული კონსულტაციის გარეშე. გთხოვთ, მიმართოთ ბიდიოს პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის განსახილველად. შპს ბიდიო საქართველო, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.

შპს ბიდიო საქართველო არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის – "ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის" წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში. ბიდიო არის საერთო სასაქონლო ნიშანი ბიდიოს ქსელისა და მისი თითოეული წევრი ფირმისათვის.